რ. ს. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ოთხშაბათი, 29 ნოემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 46 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 46

# ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო

## გაუმარჯოს ზავს. გაუმარჯოს რევოლიუციას.

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

პირველი ნოემბრიდან გაზეთი

ბრძოლა

გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 4 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი, განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.

## პროვოკატორები.

ვის არ ახსოვს, რა დაჟინებით ლაპარაკობდენ ბოლშევიკების გამოსვლაზე ოქტომბრის რევოლიუციის წინადღეებში. ხალხის ყველა ორგული და მოღალატე ელემენტებიდან დაწყებული მენშევიკ-ესერებამდე ბოლშევიზმის საშიშროებას [illegible]. ისინი დაუღალავათ ჯღაბნიდენ თავის გაზეთებში, გაჰკიოდნენ ყოველ გზა-ჯვარედინზე, ჩურჩულობდენ ბნელ კუთხეებში, რომ ბოლშევიკები გამოსვლას აპირებენ და ქვეყანას დააქცევენო. ისინი დაბეჯითებით ნიშნავდენ დღესა და საათს ამ გამოსვლისას და თავის მხრით თადარიგს იჭერდენ.

ეს იყო აშკარა პროვოკაცია, მაგრამ ბოლშევიკები არ გახდენ მისი მსხვერპლი. ისინი გამოვიდენ იმ დროს, როცა ეს თვითონ დაინახეს საჭიროთ და თავისი გამოსვლით ქვეყანა კი არ დაუქცევიათ, მათ იხსნეს ქვეყანა მოღალატე მთავრობისგან და დაამყარეს მკაცრი რევოლიუციონური წესრიგი.

პროვოკაციის სულით გაჟღენთილი იყო ოქტომბრის წინა დღეები. ეს პროვოკატორული მუშაობა, რომელშიაც აშკარათ სჩანდა ბურჟუაზიის ოსტატური ხელი, მიმართული იყო იმისკენ, რომ უკმაყოფილო ხალხი ქუჩაში გამოეწვია უფრო ადრე, ვიდრე ხალხი საკმაოთ დაირაზმებოდა, რომ მით უფრო ადვილათ გაესრისა იგი. მეორე მხრით, პროვოკაციას მიზნათ ქონდა ხალხის დაშინება და მისი ამხედრება ბოლშევიკების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ფსიხოლოგიურათ ბუნებრივი იყო ბოლშევიკების გამოსვლის მოლოდინი იმ დროს, როდესაც მთელი ცხოვრების არევ დარევა უმწვერვალესობამდე აღწევდა და ქვეყნის სათავეში მდგომი კი ხალხის ტკივილების შემსუბუქების ნაცვლათ ხელს უწყობდენ მათ გამწვავებას.

პროვოკაცია წინასწარი რეაქცია იყო რევოლიუციის ქექა-ქუხილის მოლოდინში. ეს ასე იყო რუსეთში, სადაც მან თავის მიზანს ვერ მიაღწია. იგივე ხდება დღეს კავკასიაშიაც, სადაც ის გაცილებით მეტ საშიშროებას წარმოადგენს. აქაც დაჟინებით ლაპარაკობენ ბოლშევიკების გამოსვლაზე, მიუხედავათ იმისა, რომ ბოლშევიკები კატეგორიულათ უარყოფენ ამას და ააშკარავებენ ამ ხმების პროვოკაციულ წყაროს. აქაც ნიშნავენ დღესა და საათს ბოლშევიკების გამოსვლისას და რაკი ისინი მაინც არ გამოდიან დანიშნულ დროს, გამოსვლას აწყობენ თვითონ ბოლშევიკების მოწინააღმდეგენი, ამ პროვოკაციული ხმების შემქნელ ავტორები. ისინი ბუკსა და ნაღარასა სცემენ თავის გაზეთებში—არიქა, თავს ვუშველოთო, მილიციონერებით ავსებენ თავის სასახლეს, საგანგებოთ აიარაღებენ მუშებს, თოფ-მოლერებულები ავტომობილებით დაქროლავენ თბილისის ქუჩებში და ცინიკურათ გაიძახიან: გამოდით რაღა, მზათა ვართო!

შიშისაგან თავზარდაცემული „ობივატელი“ გაშტერებული შეჰყურებს უჩვეულო თოფიანების უჩვეულო ლაშქრობას და ვერც კი გაუბედნია იკითხოს, თუ რა ხდება მის გარშემო. მას ეუბნებიან, რომ ეს მზადება მიმართულია ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომლებიც აქაც აპირებენ გამოსვლას როგორც რუსეთში, რომ სისხლი ღვარონ, დაარბიონ ყველა, გაცარცვონ და გაანადგურონ ქალაქი. აი წაიკითხე კედელზე გაკრული განცხადება: ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული. ესეც ბოლშევიკების წინააღმდეგ არის მიმართული: მათ გაზეთებს დახურავენ, თითონ მათ დაიჭერენ, დახოცავენ, რომ ვერ გაბედონ რუსეთის ბოლშევიკებივით გამოსვლა. ასე სწრთვიან თოფიანი და უთოფო, კალმიანი და უკალმო აგიტატორ პუბლიცისტები „ობივატელს“.

ეს კიდევ რაა: პროვინციიდან ქუდზე კაცს ეძახიან, მათგან ადგენენ წითელ რაზმს ბოლშევიკების შესამუსრავათ.

ეს პროვოკაციაა, ისეთივე ხასიათისა, როგორსაც პეტროგრადში ქონდა ადგილი. გაბატონებულნი წინათ გრძნობენ თავის ბატონობის აღსასრულს და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში პროვოკაციას საუკეთესო იარაღათ სთვლიან.

მაგრამ აქვე იწყება დიდი განსხვავება პეტერბურგის და თფილისის პროვოკაციას შუა. რა ძალებით გამოდიან ბოლშევიკები? პეტროგრადში მუშებით და სალდათებით; თფილისში მარტო სალდათებით, ახე აუწყებენ თვით მენშევიკები ხალხს: ბოლშევიკები ჯარს ემყარებიან, რომელიც მოსული ელემენტია. ჩვენ მენშევიკები კი ადგილობრივ მკვიდრთ ვემყარებით; და რაკი მოსალოდნელია ბოლშევიკების გამოსვლა, ჩვენ მათ ადგილობრივი მკვიდრნი უნდა დაუპირდაპიროთ, ძალას ძალა შევაგებოთ. მენშევიკებიც ირაზმებიან უცხო ელემენტების წინააღმდეგ ადგილობრივი მილიციონერებით. ნაციონალური პოლკებით და სხვა ქართული ელემენტებით. აქ უპირდაპირდება ადგილობრივი უცხოს, მკვიდრი მოსულს, ქართველი რუსს, მაშინ როდესაც პეტერბურგის პროვოკაცია ბრძოლის კლასობრივ ნიადაგს ვერ არყევდა, რადგანაც იქ მუშა და სალდათი უპირდაპირდებოდა ბურჟუას და მემამულეს, აქ თფილისში პროვოკაცია სავსებით გადადის ნაციონალურ ნიადაგზე, რადგან რუსობას უპირდაპირებს ქართველობას და ყველა კავკასიის მკვიდრთ.

რა არის ეს თუ არა უსაშინელესი პროვოკაცია?

მენშევიკები ისტერიულათ გაჰკივიან; ბოლშევიკები შავრაზმულ აგიტაციას ეწევიან, ჯართან გვაბეზღებენ, ვითომ ჩვენ რუსებს ჩამოვშორდითო. აი ამაზე იტყვიან: დათვი ტორებს სცემს და თითონვე ბღავისო. ისინი არ სცნობენ რუსეთის რევოლიუციონურ მთავრობას, იბრძვიან მის წინააღმდეგ და ამ რიგათ ჩამოშორებული არიან რევოლიუციონურ რუსეთს. როდესაც ამ უტყუარ ფაქტს ვაშუქებთ ჩვენ ორგანოებში, მით ჩვენ ვასრულებთ ჩვენს რევოლიუციონურ მოვალეობას. ჩვენ მოუწოდებთ ჯარსაც და სხვა ელემენტებსაც არა მკვიდრთა წინააღმდეგ, არამედ იმ უდღეურ მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ებრძვის ჩვენს მთავრობას, მუშების და გლეხების მთავრობას. ამავე დროს ჩვენ ვმარტავთ იმასაც, რომ კავკასიის ყველა ხალხებს და მათ შორის ქართველ ხალხსაც აქვს უფლება თვით გამორკვევისა, უფლება რუსეთიდან ჩამოშორებისა. მაგრამ ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა არ წარმოადგენს არც ქართველი არც სომეხის და არც თათრის ერის თვითგამორკვევას. ეს კონტრ-რევოლიუციის თვითგამორკვევაა რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართული და ჩვენ ვიბ-

რძვით ასეთი თვითგამორკვევის წინააღმდეგ. და ამ ბრძოლაში ჩვენ არ ვსცილდებით აგიტაცია-პროპაგანდის საზღვრებს, სანამ უმრავლესობას არ მივიმხრობთ.

ჯერჯერობით ჩვენ უმცირესობაში ვართ და აქედან გამომდინარეობს მეორე განსხვავება, რომელიც არსებობს პეტროგრადის და თფილისის პროვოკაციის შუა. ვინ არ იცის, რა აუარებელი ენერგია დახარჯეს პეტერბურგის ბალშევიკებმა, რომ შეეკავებიათ ხალხი უდროვო გამოსვლიდან და მით ჩაეფუშათ პროვოკაციის პლანები. მათ ბრწყინვალეთ შეასრულეს თავის საქმე ოქტომბერში და სისხლ დაუღვრელათ დაამხეს პროვოკაციები.

ეჭვს გარეშეა, თფილისში სულ სხვანაირათ დგას საქმე. პროვოკაციის მოტრფიალე ჩვენი მოწინააღმდეგენი ორგანიზაციულათ გაცილებით უკეთ არიან მოწყობილი. ვიდრე ჩვენ და ასეთ პირობებში ჩვენს ძალღონეს აღემატება შევასრულოთ ის, რაც შეასრულეს ჩვენმა პეტერბურგის ამხანაგებმა. ისინი ძლიერი იყვნენ იდეურათ და შესაფერათ ძლიერი იყვნენ ორგანიზაციულათაც. ჩვენი იდეური გავლენა კი შედარებით გადამეტებულათ სცილდება ჩვენს ორგანიაციულ საზღვრებს. ასეთ პირობებში კი მეტათ ძნელია პროვოკაციასთან ბრძოლა: პროვოკაციის შხამით გაჟღენთილ ატმოსფერაში მჭიდრო ორგანიზაციასაც უჭირს თავი გაართვას ახალ-ახალ პროვოკატორულ ხიურპრიზებს და რაღა უნდა ითქვას ორგანიზაციის გარეშე დარჩენილ ფართო მასაზე. პროვოკატორები მას აღიზიანებენ, ქუჩაში იწვევენ საბრძოლველათ და მით ფიქრობენ იოლი გამარჯვება მოიპოვონ.

ცეცხლს ეთამაშებიან. ისინი საფრთხეში აგდებენ არა მარტო რევოლუციის ბედს, ისინი სასწორზე სდებენ მთელი ხალხის არსებობას. ეს აშკარაა ყველასათვის, ვინც დაბრმავებული არ არის თავის განდიდებით და პატივ მოყვარეობით.

დაეხსნებიან თუ არა პროვოკატორები ცეცხლთან თამაშს? დ ოზე მიხვდება თუ არა ქართველი ხალხი და კავკასიის ყველა მკვიდრნი, რა ხ ფათს უმზადებენ მათ ისინი, ვისაც მათ უდიდესი ნდობა გამოუცხადეს?

ჩვენს მოვალეობათ მიგვაჩნია საქვეყნოთ განვაცხადოთ: უსაძინელესი პროვოკაცია მოწყობილია, ხალხს უდიდესი ხიფათი მოელის. მენშევიკები ჩვენ შავრაზმელებს გვეძახიან, ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა მათ უწმინდეს მოვალეობათ დაისახეს. ამ მიზნით ისინი დაუკავშირდენ ყველა ნაციონალისტურ-შოვინისტურ პარტიებს, დაუკავშირდენ კადეტებს, დაუკავშირდენ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებს, სამაგიეროთ გაწყვიტეს კავშირი რევოლიუციონურ რუსეთთან და ეს აშკარათ აღიარეს ეგრეთწოდებულ ეროვნულ ყრილობაზე, სადაც შექმნეს ყველა ნაციონალისტებთან ერთი ფრონტი და ამ ფრონტის დასაცავათ ადგენენ ქართულ ჯარებს იმ დროს, როდესაც კავკასიის მილიონიან ჯარს ხელმძღვანელობს კონტრ-რევოლიუციონერი პრჟევალსკი. პროვოკაცია დიდია. ჩვენ ბალშევიკები, ამ პროვოკაციის მთელ პასუხის გებას მენშევიკებს ვადებთ.

## პ რ ე ს ა.

მენშევიკები დღესაც ვერ ერკვევიან ეროვნებათა თვით გამორკვევის უფლებაში და „ერთობის" ფურცლებზე ასეთ მარგალიტებს აფრქვევენ:

„ჩვენებურს ბალშევიკებს ცხრა პარასკევი აქვთ კვირაში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც დროებითს რევოლიუციონურს მთავრობას ისინი ბრალს სდებდენ ერების შევიწროვებაში. ოქტომბრის დღეებში, როცა ისინი პეტროგრადს დაეპატრონენ, მათმა თანამოაზრე სტალინ ჯუღაშვილმა ქვეყანას ამცნო ეროვნებათა განთავისუფლება. ეს ცოტაა. ლენინის „მთავრობამ" აშკარათ დასვა საკითხი რუსეთის განაწილების, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყველა ერს, თუ კი ის ძალით არის შემოერთებული, ნება აქვს რუსეთს გამოეყოს მიუხედავათ იმისა, თუ როდის მომხდარა ეს ძალით შეერთება.

ჩვენ თავიდანვე დავგმეთ ასეთი ანარქისტულ დეზორგანიზატორული მისწრაფება. ჩვენ ვსთქვით, რომ დემოკრატიას იხსნის მთლიანი რუსეთის არსებობა".

აქედან აშკარაა, რომ მენშევიკებს დღესაც რევოლიუციონურათ მიაჩნიათ ის მთავრობა, რომელიც უკრაინას და ფინლიანდიას სდევნიდა, გარეკა ფინლიანდიის სეიმი და საერთოთ ეროვნებათა მიმართ აშკარა იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებდა. მენშევიკებს მოსწონთ ეს პოლიტიკა და არ მოსწონთ, რომ ჩვენ ბრალსა ვდებდით და ვებრძოდით აშ მთავრობას. მენშევიკებს არ მოსწონთ ბალშევიკების მთავრობა, რომელიც საქმით და არა სიტყვით აღიარებს და ანხორციელებს ეროვნებათა თვითგამორკვევის უფლებას. ეს ბუნებრივია. ვინც ბურჟუაზიას მისჩანჩალებს კუდში, მან უნდა მხარი დაუჭიროს მას ერთა შევიწროებაშიაც. „მთლიანი რუსეთი" ნებაყოფლობითი უნდა იყოს და არა ძალდატანებაზე და ძალმომრეობაზე აგებული. ასეთია ჩვენი აზრი და არც შეიძლება ის სხვანაირი იყოს ჭეშმარიტ დემოკრატის შეხედულობით.

„ერთობა" განაგრძობს:

„ბალშევიკებმა ერთი ამბავი დაგვიწიეს ამის გამო. პურიშკევიჩის მიმდევრათაც კი დაგვსახეს. ერთი სიტყვით. მათ საქვეყნოთ აღიარეს, რომ ყველა ეროვნებას შეუძლია როცა უნდა და საითაც უნდა იქით წავიდეს.

როგორ იქცევიან ბალშევიკები ამ ჟამად?

ჩვენმა მკითხველებმა იციან ამ დღეებში მომხდარ ეროვნულ ყრილობის მუშაობა. ამ ყრილობამ აღიარა, რომ საჭიროა მოეწყოს ხალხისთვის გასაგებ ენაზე სწავლება, მართვა-გამგეობაში შემოღებულ იქნას გასაგები ენა, სასამართლო მოეწყოს ხალხისთვის გასაგებ ენაზე, რომ ხალხს უთარგმანოთ შეეძლოს სასამართლოში მიმართვა. თანაც ყრილობამ ხაზი გაუსვა რუსეთთან ერთად არსებობის და მოქმედების საჭიროებას.

რომელი რიგიანი ადამიანი იტყვის რამეს ამის წინააღმდეგ?

მაგრამ ყოფილა ხალხი, რომელიც ამას უარყოფს და ეს ხალხია იგივე ბალშევიკები, რომლებმაც დეკრეტებით მოფინეს ქვეყანა და ყველა ერის გამოყოფა მოითხოვეს.

ერთის მხრით ერისთვის სრული თვითგამორკვევის უფლების მინიჭება, ხოლო მეორეს მხრით ამ ერისთვის სამშობლო ენაზე სწავლების აკრძალვა —როგორ მოგწონს მკითხველო ეს სამარცხვინო თვალთმაქცობა?"

მენშევიკები თვალთმაქცობას გვიკიჟინებენ და ამით უნდათ დაფარონ ის ღალატი, რომელიც მათ ჩაიდინეს ეროვნულ ყრილობაზე. ამ ყრილობის დამახასიათებელი იყო და არის არა ის, რომ აქ აღიარებულ იქნა უდავო უფლება სამშობლო ენაზე სწავლების შესახებ, არამედ ის, რომ მენშევიკები გაერთიანდენ ყველა ნაციონალისტურ პარტიებთან და ქართველი ერი, როგორც მთელი დაუპირდაპირეს რევოლიუციონურ რუსეთს: მათ წამოაყენეს ერის უფლებები, რომელთაც ებრძოდა და უარყოფდა კერენსკის მთავრობა და ამავე დროს უარყვეს ის რევოლიუციონური მთავრობა, რომლის წყალობითაც ისინი ამ უფლებებს ანხორციელებენ.

რატომ ვერ გაბედეს კერენსკის დროს ასეთი ყრილობის მოწვევა და ქართველი ერის სუვერენობაზე ლაპარაკი? აშკარაა, რატომ. მათი სათაყვანებელი ბურჟუაზია ამას არ მოითმენდა. დღეს ამ ბურჟუაზიას დაეტაკა პროლეტარიატი ბალშევიკების მეთაურობით და უპირებს სამუდამოთ დაამხოს მისი ბატონობა. პროლეტარიატს გაკავებული უჭირავს ბურჟუაზია, ყელში აქვს მისთვის წაჭერილი ხელი და სწორეთ ამ მომენტით სარგებლობს ყველა და მათ შორის ქართველი ნაციონალისტები მენშევიკების მეთაურობით, როცა ისინი თავის ერის უფლებების დაცვას ცდილობენ.

მაგრამ მენშევიკებს არა აქვთ შორს მჭვრეტელობა დაინახონ მიზეზი მათი ეროვნული ზეიმისა და ზურგში სცემენ მახვილს იმ მთავრობას, რომელიც მათ ეროვნულ თავისუფლებას ანიჭებს. ლენინის მთავრობას ჩვენ ვერ ვსცნობთო. ნუ ჩქარობთ, ბატონებო, ბრძოლა ჯერ არ გათავებულა, იგი სწორეთ ახლა მწვავდება და ბრძოლის სასწორის ოდნავი გადახრა ბურჟუაზიისკენ ხელათ გამოგასალმებთ თქვენს ეროვნულ უფლებებს. თქვენ ეროვნული თვითგამორკვევა ხელზე დაიხვიეთ, ნამდვილათ კი ამ უფლების დამცველი მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრეთ და მით კონტრ-რევოლიუციის ბანაკში ამოყავით თავი.

მართალია, თქვენი მომხსენებელი ჟორდანია აღარ ლაპარაკობს ბალშევიკების ავანტიურაზე, ის ოქტომბრის ამბებს მეორე რევოლიუციას უწოდებს. მაგრამ თუ ასეა, როგორი დამოკიდებულება მართებს რევოლიუციონერს ამ რევოლიუციისადმი? აშკარაა, მხოლოთ ენერგიული მხარის დაჭერაში უნდა გამოიხატოს იგი. არა, ეს ავანტიურა იქნებოდაო, ამბობთ თქვენ და ადგებით კალედინ-კარაულოვის გზას. ჩვენ გვგონია, რევოლიუციონერისთვის ამაზე დიდი ავანტიურა აღარ შეიძლება.

მოგვყავს იმავე სტატიიდან ერთი ადგილი, რომელიც მენშევიკების პოლემიკის საუცხოვო შედევრათ ჩაითვლება:

„დემოკრატიას ნება აქვს კითხოს ბალშევიკებს: ისინი იქნება იმ ხულიგან პედაგოგის შეხედულებას იზიარებენ, რომელმაც ქართულ ენას ძაღლის ენა უწოდა. თუ ეს ასეა, რატომ პირდაპირ არ იტყვიან თავის გულის ნადებს და რატომ ჭორებით და პროვოკაციით გვებრძვიან? ნუ თუ მათ არ იციან, რომ როცა მთელს დემოკრატიას აბეზღებენ რუსეთს ჩამოშორდაო, ამ ბეზღობას შეუძლია შემთხვევით პოზიციიდან მომავალი ჯარი, რომელმაც საქმის ვითარება არ იცის, ხალხის წინააღმდეგ აამხედროს.

იციან, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან.

დემოკრატია არ დაივიწყებს მათს ხულიგანობას!"

ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვარ... რომ დემოკრატია სულ მალე შეგანანებ... ამ არამზადობას, რომლის მსგავსი ჯერ... არც ერთ სულით და ხორცით გაყიდულ... ხულიგანს არ ჩაუდენია. როდესაც გა... თის ფურცლებზე, საქვეყნოთ ... გათახსირებამდე აღწევთ, რას არ ... დენთ მაშინ, როცა გარეშე თვალი ... გიყურებთ? რას არ იბოდებენ ის თქ... ნი ძმა-ბიჭები, — აგიტატორ-პროპაგან... დისტ- მილიციონერ-კომისარები, რო... მელთაც ყოველი თქვენი გარყვნილი... თან დედაბრულ ლაჩრული სტრიქო... ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ. განაგრძეთ ... გზით სიარული, ის გადაგყრით ... უფსკრულში, რომლისაც დიდიხან ... ღირსი ხართ!

## რევოლიუციონური ძალ-მომ... რეობა ანუ „ტერორი".

დღეს ვერ ნახავთ ვერც ერთ ბურ... ჟუაზიულ გაზეთს, ვერც ერთ ესერულ... მენშევიკურ „ფურცელს", რომ შხამს ... ანთხევდეს იმის გამო, რომ რევოლ... ციონერები „ბარბაროსი ბალშევიკებ... ძალმომრეობას ხმარობენ პიროვნებას... მიწის საკითხში, ბეჭვდითი სიტყვა... და სხვა. ისეთი ორგანოც კი, რო... გორიც არის გაზეთი „ნოვაია ჟიზნ"... ისეთი დიდებული მწერალიც კი, რო... გორიც არის მქსიმ, გორკი, დღეს ჭორ... კანა დედაბერივით სულ იმის ფიქრ... რომ რამე „ახალი გასაოცარი ამბავი... შეთხზას ბალშევიკების ძალადობაზე ... ამით ისედაც დაშინებული მცხოვრებ... სამუდამოთ დააფრთხოს.

მართლაც რაშია საქმე? რამ ააყვ... ეს „ხალხი"?

ამბობენ, რომ თვით ოქტომბრის რე... ვოლიუცია ძალ-მომრეობის აქტი ... უნდა ჩაითვალოსო!

რასაკვირველია. მაგრამ ყოველი რე... ვოლიუცია ხომ ძალმომრეობის აქტია...

როცა 1905 წელს თვითპყრობელო... ბას გვერდი შეუმტვრიეს, ძირი გამო... თხარეს, ესეც ხომ ძალმომრეობით მო... და?! ძალით იქმნა ხომ იგი 1917 წ... მარტში სულერთიანათ დამხობილი?

მაგრამ ამის წინააღმდეგ ბატონ ბურ... ჟუებს კრინტიც არ დაუძრავთ მაშინ.

მათ ცრემლები არ დაუღვრიათ, რო... ნიკოლოზ რომანოვს, შტიურმერს ... პროტოპოპოვს „პირად თავისუფლება... ართმევდენ და ამით „პიროვნების ხელ... შეუხებლობას" არღვევდენ. დიდათ არ... დახოცილ-დაჭრილი პოლიციელები ... ჟანდარმები დანანებიათ. მათ მთელ... რიგი შავრაზმული გაზეთებისა დახურ... მაშინ, მაგრამ „ბეჭვდითი სიტყვის" თა... ვისუფლების მოსპობაზე არ უყვირი... არც „ბინის ხელშეუხებლობა" და არ... მეფის პატივ-დიდება იყო, მაშინ დიდათ... მოწონებული. ერთი სიტყვით მაშინ არა... მარტო ესერები და მენშევიკები, არა... მედ წმინდა წყლის ლიბერალებიც არ... ღვევდენ ამ თავისუფლებას, ვინაიდან... სრულიათ სამართლიანათ სწამდათ, რომ... რევოლიუციის დროს საჭიროა მტერ... ერთიანათ დათურგნო. მაგრამ „ეს ხომ... იმ დროს, გაზაფხულის პირას იყო", ახ... ლა სულ სხვაა. ახლა მუშებთან და გლე... ხებთან ერთათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ... მიდის არა ბურჟუაზია და სწორეთ ყ... ველივე ის, რასაც ბურჟუაზია სრულ... კანონიერათ, საჭიროთ და სამართლია... ნათ სცნობდა მეფის მცველებისა ... ლაქიების მიმართ, ახლა მის თვალ... ბარბაროსულია, საძაგელია და საზიზ... ღარი.

მართალია, იგი ცდილობს, რომ ყვე-
ას მოაჩვენოს, ყველა მოატყუოს, ვი-
ომ ოქტომბრის დღეებში ხალხი კი არ
ხედრებულა მის წინაალმდეგ, არამედ
ოი მუჭა ჯგუფი სალახანებისა, რო-
ლსაც ლენინი ხელმძღვანელობს. თუმცა
ელასთვის ცხადია, რომ ერთი მუჭა
მო ამოდენ ძალას ვერასოდეს ვერ-
მოიჩენს. ყველა ხედავს, რომ ოქტომბ-
ს აჯანყება, ეს აჯანყებაა ფართე
სების გაყვლეფილ და დაჩაგრულ
ასებისა ბურჟუაზიის წინაალმდეგ.
ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, ძალიან
ილობს თავისი მტრები ჩააჩუმოს და
გავოს დედამიწის პირიდან: მან ხელი
უწყო თვითმპყრობელობის მოსპობას,
შეეცადა (კორნილოვის, კერენსკის
ნკრების, რუდნევის და სხვების ხელთ)
შების და სალდათების მოხშობასაც.
ა მანვე თავზარ დაცემულმა მხეცუ-
თ გააბა ყვირილი: „ვინ ხარ მამაციო“,
გორც კი მშრომელმა კლასმა გაბედა
შეეხო მის თვითმპყრობელობას და
ტონობას.
ასე მოხდა რამდენჯერმე ისტორიაში
ასე ხდება დღეს რუსეთშიაც.
საინტერესოა, რომ ეს მოვლენა ყვე-
ზე უკეთ რუსეთის მწერლობაში
ას არავის გამოურკვევია, როგორც
არგი ვალენტინისძე პლეხანოვს.

(დასასრული ხვალ.)

---

# ...მების დაკავშირება გაყვლე-
# ...ლ-გაღარიბებულ მშრომელ
# გლეხკაცობასთან.

(წერილი რედაქციის მიმართ).

...ლეს, 18 ნოემბერს, როცა მე გლეხ-
ყრილობაზე მომიხდა გამოსვლა, სა-
ო საკითხი მომცეს. მე იმ საკითხზე
საჩქაროთ ვუპასუხე, და რადგან
ლი ბოლშევიკური პარტიის სახელით
პარაკობდი, საჭიროთ მიმაჩნია ჩემი
ხი მკითხველმა საზოგადოებამ იცო-
საქმე შემდეგში იყო.
მ სიტყვაში შევეხე ბოლშევიკ-მუშა-
კავშირს მემარცხენე ესერებთან,
ელთაც დღეს მრავალი გლეხ თა-
გრძნობს და ასეთ კავშირს „პატიო-
კოალიცია“ ვუწოდე— რადგან გაყვ-
ილ მუშებისა და გაფუქვნილ გლეხ-
თა საკითხებს შორის ძირითადი გან-
ვება არ არის. სოციალიზმი ერთ-
ათ აკმაყოფილებს როგორც ერთს,
მეორესაც. მხოლოდ სოციალიზმს
ძლია მათი ინტერესების საბოლოოთ
აჭრა. ამიტომ არავის არ უნდა
რეებდეს მუშათა და გლეხთა შო-
„პატიოსანი კოალიცია“. ის კოა-
ია კი, რომელიც ერთი მხრით მშრო-
თა ინტერესებს იცავს, ხოლო მეო-
ი კი ბურჟუაზიისასაც, რა თქმა უნ-
პატიოსან კოალიციათ ვერ ჩაითვ-
ა.
წარმოიდგინეთ, ვამბობდი მე—მთავ-
ის დიდ უმეტესობას ბოლშევიკები
გვენენ, უმცირესობას კი მემარცხენე
ები, მაგ. მიწათ-მოქმედების მინის-
მხოლოდ ერთია—მემარცხენე ესე-
შეუძლიათ ბოლშევიკებს ამ შემთხვე-
გაახორციელონ „პატიოსანი კოა-
ია“ თუ არა?..
—შეუძლიათ. რადგანაც ბოლშევიკე-
როგორც ყოველგვარი კონტრ-რევო-
ციონური ელემენტების მტერი (და
რიცხვში მემარჯვენე ესერებისა და
რონცების) იძულებული იქნებიან
მემარცხენე ეს ბის მიერ წამოყენე-
საკითხების გადამწყვეტი კენჭის
...რის თავი შეიკავონ, ასე მაშ.
მიწის საკითხში, რომელიც სრულიათ
რუსეთის მეორე გლეხთა სიეზდმა და-
ამტკიცა და აგრეთვე იმ პუნქტშიაც,
რომელიც ეხება წვრილ მეურნეთა შო-
რის მიწის თანასწორათ სარგებლობის
წესს; დრო გამოშვებით მიწის ურთიერთ
შორის თანასწორათ განაწილებას.

თავის შეკავებით ამ კითხვის კენჭის
ყრით გადაწყვეტის დროს ბოლშავიკები
სრულიათაც არ ეწინააღმდეგებიან თავის
პროგრამას, რადგან სოციალიზმის გა
მარჯვებით (წარმოებაში მუშათა კანტ-
როლის განხორციელება) შემდეგ კი ქარ-
ხნების ექსპროპრაცია, ბანკების ნაციო-
ნალიზაცია უმაღლესი ეკონომიური საბ-
ჭოს შედგენა, რომელიც ქვეყნის მეურ-
ნეობას აწესრიგებს და სა კეთილდღეო-
ბის გზაზე აყენებს, მუშები ვალდებული
იქნებიან მიიღონ წვრილი მშრომელ
გლეხკაცთაგან ნაჩვენები ზომები, რომ-
ლებიც სოციალიზმში თანდათანობითი
გადასვლის საქმეს ხელს შეუწყობს. კა-
უცკის, როცა ის მარქსისტათ ითვლებო-
და (1899—1909 წწ) არა-ერთხელ უთ-
ქვამს, რომ სოციალიზმში შესასვლელი
ზომები სხვილ და წვრილი მიწის მქო-
ნე სახემწიფოებში ერთნაირი არ არისო
ჩვენ ბოლშევიკები იძულებული ვიქნებო-
დით თავი შეგვეკავებია ასეთი პუნქტე-
ბის კენჭის ყრის დროს სახალხო კომი-
სართა საბჭოში ან ც. ა. კომ-ში, რად-
გან თუ მემარც. ესერები (და ამით რა
საკვირველია მათთან ერთათ. გლეხები.)
დაგვეთანხმდებოდენ მუშათა კანტრო-
ლის და ბანკების ნაციონალიზაციის შე-
მოღებაზე, მაშინ მიწის სარგებლობის
წესით წვრილ მეურნეთა შორის მიწისთა-
ნასწორათ განაწილების განხორციელების
სოციალიზმში გადასვლის ერთი საუკე-
თესო ნაბიჯი იქნებოდა. პროლეტა-
რიატს კი ისეთი გარდამავალი ზომები
არავინ თავზე არ უნდა შემოახვიოს.
ის ვანდებულია წვრილ გლეხ კაცობას
დაუთმოს ამ შემთხვევაში რადგან ამით
არავითარი ზიანი არ მიადგება სოცია-
ლიზმს.

ერთმა მემარცხენე ესერებმა, (თუ არ
ვცდები ამხ. თეოფილაქტოვი უნდა ყო-
ფილიყო) შემდეგი კითხვა მომცა: დამ-
ფუძნებელ კრებაში როგორ მოიქცეოდე
ბოლშევიკები, რომ გლეხებმა მოინდო-
მონ თანასწორი მიწათა მფლობელობის
და სარგებლობის კანონის გაყვანა, ბურ-
ჟუაზია წინაალმდეგი გახდეს და საკით-
ხის გადაჭრა კი ბოლშევიკებზე იყოს
დამოკიდებული? მე ვუპასუხე: ღარიბ
გლეხთა და მუშათა კავშირი, პროლე-
ტარიატის პარტიას, იმ შემთხვევაში,
როცა ხალხი სოციალიზმს ეხება. ბან-
კების ნაციონალიზაცია, კანტროლი და
სხვა). აიძულებს მხარი დაუჭიროს გლე
ხებს ბურჟუაზიის წინაალმდეგ. ბოლშე-
ვიკები მაშინ მხოლოდ შესწორების
უფლებას დაიტოვებდენ და სხვა. თავის
დაჭერა ამ დროს კი მოკავშირეების ინ-
ტერესების გაყიდვა იქნებოდა სოცია-
ლიზმისათვის ბრძოლაში თავისი კერძო
უთანხმოების გამო. ბოლშევიკები ასეთ
დროს არასოდეს არ უღალატებენ გლე-
ხებს. არასოდეს ისეთი ზომები ხელს არ
უშლის სოციალიზმს, როცა ძალა-უფლე-
ბა მუშისა და გლეხების ხელშია, როცა
შემოღებულია ბანკების ნაციონალიზა-
ცია, მუშების კანტროლი წარმოებაზე
და რაც უმთავრესია უმაღლესი ეკონო-
მიური დაწესებულება, რაც სახალხო
მეურნეობას აწყობს და სხვა ასეთი იყო
ჩემი პასუხი.

**ნ. ლენინი.**

---

# ადლი თუ აზრი?

გაზეთ „ერთობის“ კვირის ნომერში
ექვსი წერილია მოთავსებული ბოლშევი-
კებზე. საერთო მათი ზომა ექვს ნახე-
ვარი ადლი იქნება.

ჩვეულებრივათ წერილების საზომი
მათში გამოთქმული აზროვნებაა, მარა
ამ წერილებში უაზრობის მეტი არაფე-
რი ყრია, და ამიტომ ისინი მხოლოთ
ადლობით გაიზომება.

პირველი ადლი: ვინაიდან ბოლშე-
ვიკები ამიერ კავკასიის კომისარიატის
წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან, ამიტომ
იმათ სამუდამოთ კავშირი გასწყვიტეს
რევოლიუციონურ პარტიასთან და შავ-
რაზმელების ბანაკში გადაბარგდენო,—
ჩიფჩიფობს უდროვოთ დაჩაჩანაკებული
გაზეთი.

ამაზე ჩვენ გამოთქვამთ შემდეგ აზრს:
სრულიათ რუსეთის მუშათა საბჭოე-
ბის სიეზდმა პეტროგრადში შექმნა
სახალხო კომისარებისაგან სრულიათ
რუსეთის მთავრობა. ამ მთავრობის
წინააღმდეგ აგიტაციას პირველსავე
დღიდან ეწევიან „ერთობა“ და მისი
თანამოაზრენი. მაგრამ ჩვენ მაინც არ
გვითქვამს, რომ მენშევიკ-ესერები შავ-
რაზმელთა ბანაკში გადავიდენო. ჩვენ
ვამბობთ, რომ მათი მოქმედება კონტრ-
რევოლიუციონურიაო.

მეორე ადლი: გაზეთი წუწუნებს
რომ ბოლშევიკებმა პრესის თავისუფლება
შელახესო.

4 მარტიდან მოკიდებული 24 ოქტომ-
ბრამდი, მეტი თუ არა, რამდენიმე ათე-
ული ბოლშევიკების გაზეთები იყო და-
ხურული კოალიციონური სამინისტროს
მიერ, რომელშიდაც შედიოდენ მენშევიკ-
ესერები და რომელსაც ისინი მხარს
უჭერდენ ყოველი ღონისძიებით. არც
ერთი კრინტი არ დაუძრავს მაშინ ამის
შესახებ „ერთობას“. ეხლა კი ცხარე
ცრემლით მოსთქვამს „ნოვოე ვრემიას“,
„რუსკაია ვოლიას“ და „ბირჟევკას“—
ამ მართლა შავრაზმელების გაზეთების
საფლავზე.

მესამე ადლი: ჩვენ რომ დარწმუნე-
ბული ვიყოთ იმაში, რომ ლენინის მთავ-
რობას შეუძლია რუსეთის ხსნა—რასა-
კვირველია, ჩვენ იმას მხარს დაუჭერ-
დითო,—ამბობს გაზეთი.

ჩვენ გეკითხებით: თქვენგან შექმნილ
კომისარიატს, რომელშიდაც შედიან
თათრის ბეგები, სომხის შოვინისტები
და ქართველი მფლანგავები—განა ვის-
მეს და რასმეს ხსნა შეუძლია?! თუ
თერგის და ყუბანის კარაულოვების და
ბიჩების და მათი კაზაკების დახმარებით
ფიქრობთ რუსეთის ხსნას? ამიტომ იწვევ[...]
ე. გეგეჭკორი მათ თათბირზე „საერთო
გეგმის გამოსამუშავებლათ“?

მეოთხე ადლი: გაზეთის მეპრესე
წუწუნებს მოსკოვის ქალაქის საბჭოკა-
გარეკაზე და შავრაზმულ გაზეთების ლო-
ხურვაზე.

ჩვენ მკაფიოთ ვამბობთ: მოსკოვში
იბრძოდა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი:
რევოლიუციონური და კონტრ-რევო-
ლიუციონური, დემოკრატიული და ანტი-
დემოკრატიული; ქალაქის საბჭომ მიემ-
ხრო უკანასკნელს და გამარჯვებულმა
დემოკრატიამ ის გარეკა, ის იქნება არ-
ჩეული მოკლე ხანში. რაიონულ საბჭოე-
ბისთვის კი, როგორც ნამდვილ[...] დემო-
კრატიულისთვის—ხელი არავი[...] უშლია.
მაშ ვილასთვის ღვრით [...] ცრემ-
ლებს? გუჩკოვებისა [...] რიაბუშინსკი-
კონოვალოვებისთვის? [...] თვალებიც დაგ-
ფსებიათ მათზე ცრემლი[...] ღვრით!

მეხუთე ადლი: თუ ჩვ[...]ნი ევროპიელი
თანამოაზრენი მოახერხ[...]ბენ და გაავრცე-
ლებენ საიდუმლო ხელშეკრულობების
შინაარსს ხალხში—ის შესაფერ ნაყოფს
გამოიღებს და ინტერნაციონალურ ცნო-
ბიერებას გაანვითარებსო,—ზომავს ვინმე
თეკლათელი და იქვე დასძენს: ჩვენ
სრულებით ვერ გავიზიარებთ ლენინ-
ტროცკის მოქმედებასო.

ჩვენ არ ვიცით რა ლოღიკური საზო-
მით უნდა გაიზომოს თეკლათელის ასე-
თი ულოღიკობა, თუ არ იმით, რომელ-
საც ეწოდება აბდა-უბდა!

უკანასკნელი ორ ადლ-ნახევარი წე-
რილი ალ. ჟორჟოლიანისა ხომ ბევრით
მოგვაგონებს მეორე ამ გაზეთის თანამ-
შრომლის—ლ. ახმეტელაშვილის მიერ
მარქსიზმის ცოხნას. მეორე მხრით კი
საინტერესოა თავისი შინაარსით. ავტო-
რი უტყუვრათ ამტკიცებს იმას, რომ
კაცხელი, თუშეთელი, ბანკისის-ხეობელი
და ჩიბათელი „მარქსისტები“, რომლე-
ბიც ათასობით აძლევენ ხმას მენშევი-
კებს—ოთხმოცდა ოთხი პრობის სო-
ციალდემოკრატები ყოფილან; პუტილო-
ვის, ერიქსონის, პარვაინენის და სხვა
მრავალ დიდი ქარხნების ჩამომავლობი-
თაც კი პროლეტარებს არაფერი საერთო
არ ქონიათ მარქსიზმთან. გამოდის, რომ
მარქსი გულისხმობდა მის სოციალურ
გამოკვლევებში ხვარბეთის და ლაილაშის
გლეხების სოციალური მდგომარეობით
და არა ლონდონის და მანჩესტერის
პროლეტარების.

აქ კი არ შეგვიძლია არ გავიმეოროთ
„ერთობის“ სიტყვები: „ბედაურნი და-
ხოცნენ—ვიტყვით უკლებლათ—მოედანი
დარჩა ვირებს!“

**ს. თ—ია.**

---

# მილიციონერები თუ პოლიცი-
# ელები?

6 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ერევ-
ნის მოედანზე შემდეგი სურათის მოწამე
გავხდი. მისცვივდენ შოფერს ვიღაც
მთვრალი კაცები და მოსთხოვეს წაე-
ყვანა ისინი. შოფერმა შეატყო, რომ
მთვრალები იყვენ, უარით უპასუხათ.
მათ არ შეიწყნარეს შოფერის უარი. და
დაუწყეს გინება უწმაწური სიტყვებით,
მასთან შეუყვირეს: წაგვიყვანე, თვარა
გესვრითო. გადმოვარდა შოფერი გა-
ცეცხლებული,—რისთვის უნდა მესრო-
ლოთ, რა დავაშავეო.

ჩვენ მოვითხოვეთ, რომ წაგვეყვანა
ისინი იქვე კომისარიატში. თურმე ნუ
იტყვით, ეს ვაჟბატონები ყოფილან ერ-
თი მესამე კომისარიატის კომისარი ბ-ნი
ნერსესოვი მეორე კი მეხუთე კომისა-
რიატის უფროსი მილიციონერი (თავის
ძმით, ძმაც იქვე მსახურობს, სტუდენ-
ტია) ხარატოვები. მართლა, რომ ყვე-
ლას მოკვლით ემუქრებოდენ. საწყალ
შოფერს უთხრეს: ვაი შენი ბრალი, შენს
სინსილას გავაქრობთ ბირჟაზეო. თან
უშვერათ აგინებდა ბ-ნი ნერსესოვი შო-
ფერს. ამ დროს მოვიდა კაჩუხოვის თა-
ნაშემწე ბ-ნი მიხ. მოგილევსკი. მარა
იმან უარესი დღე დაგვაყენა.

ჩაგვამწყვდია „სმირნაზე“ 4—5 კაცი
და 9—11 საათამდე. სულ ეგზამენებს
გვაჭერინებდა.

როგორ იყო, და კიდევ როგორ? რო-
გორ იყო და რაღ იყო,—ასე ჩაცივებით
დაგვეკითხა ბ-ნმა მოგილევსკიმ ყველას.
ის ცდილობდა რომ ჩვენთვის ჩვენება
დაებნია და ისევე საწყალი შოფერი გა-
ემტყუნებინა. უკაცრავათ კი, მარა ეს
მან ვერ მოახერხა. ბევრი ლაპარაკის
შემდეგ ბ-ნი ტატიევიც მობრძანდა, (მე-
ორე თანაშემწე,) მაგრამ იმისგანაც უი-

მედოთ დაურჩით. ხელის ქნევით უპასუხებდა შოფერს. ასე რომ, ჩვენ ისინი დავიჭირეთ, როგორც უწესოების ჩამდენი და იმათ ჩვენ გამოგვიყვანეს დაჭირული.

ბ-ნმა ნერსესოვმა როგორც შეიტყო დაიძახა, ვინც დაილაპარაკებს „ნაჩალნიკის" მოსვლამდის, უბრძანებ რომ გაიყვანონ აქედანო. რაზედაც თითონვე გაუწყრა ღმერთი, დაიწყო ქუჩური გინება; მას უთხრა შოფერმა, ნუ მაგინებ, არ არის კარგიო. ამაზე დაიყვირა „კარაულნი ნაჩალნიკო" რომელიც უცბათ მოვარდა მაგრა ვერაფერი გაბედა.

ასე გენერლობენ ეს ვაჟბატონები. საჭიროა ამას ბოლო მოეღოს. თვარა ყოველთვის კოკა წყალს არ მოიტანს.

ჯარისკაცი ვალიკო.

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**სამტრედია**. სამტრედიელი მენშევიკ-ობორონცები თ ვაშვებულათ მოქმედობენ. მათ ჯერჯერობით ჩაუვარდათ ქალაქი ხელში და თავისებურათ ბატონობენ. როგორც ჩვევიათ მათი საქმეა ბალშევიკების უდიერათ მოხსენება და საშინელი ცილის წამება.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მათ ბადალი არ ყავდათ: სხვისი ლოზუნგების მითვისებაში და ამით ხალხის მოტყუილებაში. არჩევნების დროს ვინ რას ჩადიოდენ. მათი დაგზავნილი კაცები დაწრწოდენ ხალხში და ეუბნებოდენ, პირველი ნომრის მეტს არ ღებულობენ და არიქა უშველეთ, ეს ნომერი წაიღეთო. საუბედუროთ ჯერ აქაურებს ვერ შეუგნიათ, თუ ვინ არიან მაგენი და იმიტომ თაყვანს სცემენ.

ჩვენ ყოველ მხრიდგან გვავიწროვებენ და ლაპარაკის ნებას არ გვაძლევენ.

19 ნოემბრის ნომერში დამფუძნებელ კრების არჩევნების შესახებ, ქუთათურ „სოციალ-დემოკრატ"-ში აკაკის და კოლიას შემდეგი წერილი იყო მოთავსებული: „ხშირათ ჩვენ ვხედავდით ჩვენს პლაკატებზე გაკრულს მეხუთე ნომერს ბალშევიკები, სარგებლობდენ რა სოციალ დემოკრატიულ პარტიის სახელით, პირველ ნომრის მაგივრათ ხალხს მეხუთე ნომერს აჩეჩებდენო." სტყუიან ბ. ავტორები. მაგენი ვერც ერთ ფაქტზე ვერ მიგვითითებენ და ვერ დაგვიმტკიცებენ ამას ვთხოვთ დაგვიმტკიცონ ეს ფაქტებით. მე შემიძლია მიუთითო თუ რას ჩადიოდენ მათი დაგზავნილი კაცები, რომლებიც ხალხს ეუბნებოდენ: ყუთთან პირველი ნომრის გარდა არ ღებულობენ და აპა უშველეთ ეს წაიღეთო". სირცხვილი მაგათ!

19 ნოემბერს მოხდა რკინის გზის საკრებულო დარბაზში მენშევიკების პარტიის წევრთა კრება, სადაც შეეძლო დასწრებოდენ ჩვენებიც. მათგან ბევრმა ილაპარაკა და შემდეგ სიტყვა მოითხოვა ამხ. ვანო სტურუამ. როგორც იყო მისცეს სიტყვა, მარა ვაი ამისთანა მიცემას. როდესაც შეეხო მაგათ საქციელს და დაგმო მაგათი რვა თვის მოქმედება, გულმა აღარ მოუთმინათ ობორონცებს და სიტყვა გააწყვეტიეს. შემდეგ გამოვიდა სალაპარაკოთ რაჟდენ მიქაძე და დაიწყო დემაგოგობა, ბალშევიკები კონტრ რევოლიუციონერებათ მონათლა ჩვენს ლიდერებს გერმანიის მთავრობის აგენტები უწოდა. და ბოლოს ისიც კი თქვა ბალშევიკები ჯიბგირები და ყაჩაღებიაო. ვინც დღეს თავის თავს ბალშევიკს უწოდებს, ყველა ჯიბგირიაო. რა არის ეს თუ არა საშინელი დემაგოგობა და ცილის წამება? მაშ თუ ასეა ბატონო მიქაძე; თქვენ პოგრომჩიკები ყოფილხართ: რადგანაც ის ბრბო, რომელმაც ქუთაისი დაამტვრია და უფრო წინეთ ისევ ქუთაისში ფედერალისტების ბიურო დალეწა, მენშევიკს უწოდებდენ თავის თავს. ამის შემდეგ მეც შემიძლია ვსთქვა, რომ თქვენ პოგრომჩიკები ხართ.

ასეთია მოქმედება აქაურ ობო[...]ბის, ყოველ მხრიდგან გვავ[...]ებენ, რადგან ეშინიათ, ხალხი ჩვენს მხარეზე არ გადმოვიდეს. მაგრამ როგორც ყველგან, ისე აქაც სიმართლე გაიმარჯვებს და თქვენი პარტია როგორც რუსეთში და ბევრ სხვა ადგილებშიაც, ისტორიას ჩაბარდება.

ალექსანდრე პაპავა.

**ს. ერკეთი** (გურია). აქ როგორც ყველგან 12 ამ თვიდგან დაიწყო არჩევნები დამფ. კრების. მთელი საზოგადოება 4 საარჩევნო უბნათ გაიყო, არჩევნებში მონაწილეობას ღებულობენ: მეუმცირესეები, მეუმრავლესეები და ს. ფედერალისტები. არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობს ჯერ-ჯერობით და თვალსაჩინოთ კი ორივე მხარე ს. დ. პარტიას ქონდა შეჯახება მიტინგებზე და პლაკატებით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საგრძნობ ხმას მივიღებთ.

16 ამ თვეს მოხდა ს. ერკეთის ს. დ. მ. 3. ორივე ფრაქციის შეერთებული კრება, რომლის მიზანი იყო კოოპერატივის გარშემო კითხვების გარჩევა. კრება გახსნა ორივე ფრაქციის წარმომადგენლების შეთანხმებით, რომლის თავმჯდომარეთ იქნენ არჩეული ამხ. ი. გორდელაძე და მდივნათ ამხ. ჯინჭარაძე (მენშევიკია).

დღის წეს-რიგში იქნა შეტანილი: 1) მოხსენება სარაიონო კოოპერატივის კავშირი, 2 სასურსათო საკითხი, 3) გაზეთ „ალიონის" კორესპოდენტ „ლახვარის" შესახებ.

1. მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ანთიძემ კავშირის მნიშვნელობაზე და ადგილობრივ კოოპერატივთან დამოკიდებულებაზე. მოხსენება უცვლელათ მიიღო კრებამ. კრებას დაესწრო 60—70 წევრი.

2. წინადადება მიეცეს, როგორც სარაიონო ისე საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს, რათა მიიღოს ყოველივე ზომა, მოახდინონ დაჩქარებით სიმინდის რეკვიზიცია და აგრეთვე რეგისტრაცია რაც ამ შიმშილის შავ ჩრდილს ცოტას მაინც გაფანტავს.

3. გაზეთ „ალიონში" № 56 ში მოთავსებულია კორესპოდენცია ვიღაც „ლახვარის" ფსევდონიმით, რომლის წყალობით როგორც ყოფილი მომუშავენი კოოპერატივის, ისე აწმყო გამგეობა და კორესპოდენტი „ერკეთელი" შეურაცხოფილია, რომლის შინაარსი თავიდან ბოლომდის სიცრუეზეა აგებული, კრებამ დაადგინა: სასტიკი პროტესტი („ლახვარს") და უკეთუ არ დაამტკიცებს [...]მალე დროში ყველა იმას, რაც დასწერა [...] გაძევებულ იქნეს ყველა პოლიტიკურ და კულტურულ ორგანიზაციებიდან და აგრეთვე ამავე კოოპერატიულ საზოგადოებიდანაც.

ძველი ბალშევიკი.

**სარაჯამიში**. ჯერ კიდევ 12 ნოემბერი[...] არ იყო მოახლოვებული, რომ ადგილო[...]ბრივმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყ[...]ს, სარჩევნო აგიტაცია პირველად გამოჩნდენ[...] ესერები—მას შემდეგ მენშევიკები— მთ[...]ლი ქუჩები მოიფინა მესამე და პირვ[...]ლი ნომრით, მესამე ნომერს გვერდს უმშვენ[...]ბდა მეოთხე ნომერი დაშნაკცაკანების, [...]არ სჩანდა მხოლოთ მეხუთე „ბალშე[...]ვიკ-ინტერნაციონალისტების" ნომერი. [...] ესერები დაშნაკცაკანები ზეიმობდენ, ესერები წინდაწინვე გამარჯვებას დღესასწაულობდენ მოახლოვდა 11 ნოემბერი და გამოჩნდა მეხუთე ნომერი, სალდათები და მუშები სიამოვნებით ეტანებიან ბალშევიკების მოწოდებებს და მათ ნომერს, თვით 11 ნოემბერს გაიმართა დიდი მიტინგი ბალშევ[...]ების კომიტეტის მეთაურობით. ეს [...]იტინგი კი არა ზეიმი-დღესასწაული იყო; მშვენიერათ მორთული ავტომობილი, შუა ადგილზე ჩამოკიდებული დიდი ზარი, რომელსაც აწერია, „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით", მიტინგს შემდეგ გაიმართა მანიფესტაცია. 12 ნოემბერს დაიწყო არჩევნები. ქუჩები სადღესასწაულოთ არის მორთული, გარბიან ავტომობილები, მოსჩანს მორთული ავტომობილი მეხუთე ნომრით, რომელზედაც სხედან სალდათები და მუშები, და ასე გაგრძელდა 1-2 და მესამე დღეს. 18 ნოემბერს არჩევნები დასრულდა. ესერების პარტიას მოწყენილობა ეტყობოდა. ისინი ელოდენ სრულ გამარჯვებას, ელოდენ ათასობით მეტ ხმას სხვა პარტიებზე, განსაკუთრებით ბალშევიკებზე ნამდვილათ კი მიიღეს 300 ხმით მეტი. სასტიკათ დამარცხდენ დაშნაკელები და სხვა პარტიებიც, ასე რომ შედარებით წინანდელზე გაიმარჯვა ბოლშევიკებმა, ეხლა გამოსულან ზოგიერთი ესსრები და ამბობენ: „რა უყოთ ხალხი ჯერ გამოურკვეველია ხალხი ლამაზმა ლოზუნგებმა აიყოლიაო და სხვა". როდესაც დიდი უმრავლესობა გარნიზონისა მათ ემხრობოდა, მაშინ გამორკვეული იყვნენ და არ მიყობოდენ „ლამაზ ლოზუნგებს", დღეს, როდესაც მათ ჩამოშორდა ხალხი, ეხლა გამოურკვეველია; ამაზედ იტყვიან „ხან ისე და ხან ასეო, ჩემო კოხტა მონასეო"

—ალი.

**ჩოხატაური**. 6-ნოემბერს ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა „კავშირის" ინსტრუქტორის ამხ. ალექსანდრე ერქომაიშვილის მეთაურობით მოწვეულ იქმნა ჩოხატაურის რაიონში არსებული კოოპერატივების წარმომადგენელთა კრება.

34-კოოპერატივისაგან კრებაზე გამოცხადდა 22-ის წარმომადგენელი, კრება კანონიერათ ჩაითვალა, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ილია კალანდაძე, მდივნათ ანდრო რამიშვილი, პირველათ კრებამ ამხ. ტიტე მშვიდობაძის წინადადებით ფეხზე ადგომით პატივი სცა ახლათ გარდაცვალებულ ამხ. რაფიელ რამიშვილის ხსოვნას.

ამის შემდეგ ამხ. ალ. ერქომაიშვილმა მოხსენება გააკეთა და აუხსნა დამსწრეთ რაიონული კავშირის აუცილებლობა, რასაც კრება უკამათოთ ღებულობს. ლაპარაკი იწყება საწევრო და საპაიო ფულების შესახებ, დიდი ხნის კამათის შემდეგ კრება ადგენს გარდაიხადონ რაიონულ კავშირში შესატანათ თითეულ კოოპ. წევრზე 25 კაპ. საწევრო და საპაიო კი ყოველ ნავაჭრს ათას მანეთზე (ნავაჭრი ფულების მიხედვით-ობაროტი) 25-მანეთი, რომლიდანაც დგება კავშირის თანხა, ამასთან თანახმათ მომხსენებლისა კრება ადგენს მიეცეს უფლება გამგეობას, თუ საჭიროება მოითხოვს, აიღოს სესხი ხუთჯერ იმდენი, რამდენიც საპაიო ფული იქნება.

კრება სავსებით ეთანხმება ამხ. ალ. ერქომაიშვილს და არდგენს მიეცეს მთელი რაიონისთვის ერთ ინსტრუქტორი კავშირისთვის ორ საქონლის მომწოდებელს და ერთ ნოქარს 1200 მან. თვიურათ ესე იგი თითოს 300 მან. საწყობი კავშირისთვის წლიურათ 500 მან. გასათბობ-გათბობა 500 მან. სამგზავრო წლიწადში 2500 მან. წიგნები 50[...] სესხისთვის პროცენტები 2000 მან. [...]ლოდნელი ხარჯები წლიწადში [...] მან. სულ 20950 მან.

კრების გამოანგარიშებით წლი[...] დაახლოვებით 34-კოოპერატივ[...] საქონელს მიაწვდის კავშირი გა[...] მილიონ-ნახევარ მანეთის ამარ[...] ვშირი აიღებს მანეთზე ორ კაპ. რომ[...] დანაც შემოუვა კავშირს წლი[...] 30000 მან. ზემოთ მოყვანილი [...] შებიდან დაიხარჯება 20950 მან. [...] გება დარჩება 9050 მან. ეს ნაანგარიშ[...] ვარაუდათ ადგილობრივ ნაწარმ[...] გარდა, როგორიცაა თუთუნი, [...] ვაშლი და სხვა. თუ ამას აიღებს [...] რი და თავის გავლენის ქვეშ [...] ნებს აქედან კი მეტი შემოსავალი [...] რომლიდანაც რასაკვირველია [...] მეტი მოსაგები დარჩება, და [...] არ დაეკარგება ჩალის ფასათ მისი [...] შამოსავალი.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია [...] ცისაგან შემდგარი გამგეობა [...] კანდიტატები რომლებშიდაც [...] ილია კალანდაძე, არჩილ ქექელ[...] ჩიჩუა, ალ. ბერძენიშვილი, გრ. თ[...] რიძე, ს. ცინცაძე, ს. სიხარულ[...] ლ. ჯიბუტი, სარევიზიო კომისი[...] დრო რამიშვილი, ტიტე მშვიდ[...] ს. რამიშვილი ევტიხი კაცაძე [...] ლერიან ჭანტურია, იმედია კოოპ[...] ვების წარმომადგენლები დაჩქა[...] თავიანთ ხვედრი ფულების შემო[...] ლა მით საშვალებას მისცემენ გ[...] კავშირის ასამუშავებლათ.

ხეფე ცინცა[...]

## ბ რ ძ ო ლ ი ს ფ ო ნ დ [...]

ჩვენ მე-4 თურქესტანის მსრო[...] დივიზიის „პერევიაზოჩნი ოტრ[...]" ქ რთველი ჯარისკაცებმა გაზ. „[...]ლა" ვცანით როგორც ერთად[...] დამცველი მშრომელი ხალხის ინტ[...] სების. შემოგვაქვს ჩვენი წვლილ[...] გაზეთის სასარგებლოთ შემდეგ პი[...] მათე ჩხეიძემ—3 მ., ალექსანდრე [...] მიძემ—3 მ., მელიტონ გაფრინდაშ[...] 3 მ., სერაფიონ თოფურიამ—2 მ., [...] ხუხიამ—1 მ., კალისტრატე ხაბ[...] ძემ—1 მ.

ამხ. მონდოპ. ვახიძე კა[...]

ს. მეჯვრისხევში (გორის მაზრა) [...] მოაზრეთა და თანამგრძნობთა [...] შეგროვილი ფული ვასო კოჭლამ[...] მიერ მივიღეთ სულ 25 მ. 50 კ.

სალამი და გამარჯვება პროლეტ[...]ტის ინტერესების დამცველს, [...] „ბრძოლის" რედაქციას.

ჩვენ შორის შეგროვილ წვლილ[...] რავთ გაზეთ „ბრძოლის" ფონდის [...] ძლიერებლათ ქრისტაფორე დულ[...] —5 მ. კოწია კუნჭულიამ—5 მ. სულ [...]

ჯარის კაცი კოწია კუნჭულ[...]

## კრებები და მიტინგები

ქალაქის გამგეობის მოსამსახურე[...] და მუშათა ჯგუფი მოუწოდებს [...] ამხანაგებს დაესწრონ კრებას ხუთშ[...] ნოემბრის 30-ს საღამოს 7 საათზე [...]ლაქის გამგეობის ბინაზე განსახ[...]ლია მუშათა და სალდათთა [...] წევრთა ხელ-ახალი არჩევნების [...] ამხანაგებს ვთხოვთ დანიშნულ [...] მოვიდნენ.